მეორე მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც ჰქონდა სოკრატეს ფილოსოფოსობას პლატონისათვის, ეს იყო უშუალოდ ფილოსოფიური განზომილების გათვალისწინება. პლატონმა გააგრძელა სოკრატეს აზროვნების წესი, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ეს უკვე აღარ იყო საუბრის რეჟიმში ფილოსოფოსობა, არამედ ეს იყო ფილოსოფოსობა, რომელიც გულისხმობდა, რასაკვირველია, დაწერილ ტექსტებს.

აქაც, სხვათა შორის, პლატონს აქვს ძალიან სპეციფიური მიდგომა, რომელიც შეიძლება გარკვეული გავლენაც იყოს მისი მასწავლებლისა. საქმე ის არის, რომ განსხვავებით მისი წინამორბედებისაგან და მისი მოწაფეებისაგან თუ სხვა მომდევნო ფილოსოფებისაგან, პლატონი არ წერს თავის ტექსტებს არც პოემის და არც ტრაქტატის სახით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რაღაც, იმიტომ, რომ, ჩვეულებრივ, ჩვენ ველით ფილოსოფოსისაგან, რომ ის თავის აზრებს გადმოსცემს, როგორც მოძღვრებას. მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, სოკრატე ამას ასე არ აკეთებდა. მეტიც, არც პლატონი აკეთებს ამას ასე. პლატონი თავის ტექსტებს დიალოგის ფორმას აძლევს, სადაც ყოველთვის რამდენიმე პერსონაჟია, რომელიც ერთმანეთს ელაპარაკება. ცხადია, ერთ-ერთი პერსონაჟი ამ დიალოგებში უფრო დამაჯერებელია, ვიდრე სხვები, მაგრამ ბოლომდე ნათელი მაინც არ არის, ვისი შეხედულებებია საბოლოოდ ჭეშმარიტი და ვისი შეხედულებები ასახავს ბოლომდე პლატონის აზრს. შესაბამისად, საინტერესო განზომილება პლატონის ტექსტებისა არის სწორედ ის, რომ ჩვენ იქ ვხედავთ აზროვნების დაბადებას დისკუსიაში, დისპუტში და არა უბრალოდ უკვე წინასწარ მოფიქრებული აზრების მწყობრად გადმოცემას მოძღვრების სახით.

გარდა ამისა, ძალიან დიდი ერთგულება პლატონისა სოკრატეს მიმართ იმაშიც ვლინდება, რომ თითქმის ყველა მის დიალოგში სოკრატე, როგორც პერსონაჟი, თამაშობს განმსაზღვრელ როლს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ჩვენ არ ვიცით, ვის აზრებს გადმოსცემს სოკრატე - პლატონის აზრებს თუ იმ აზრებს, რომელიც მან ისტორიულად მართლაც რაღაც საუბარში გადმოსცა, და ხშირად რთულია, მივხვდეთ, სად მთავრდება სოკრატე და სად იწყება პლატონი, ყოველ შემთხვევაში, ადრეულ დიალოგებში მაინც პლატონისა. უკვე გვიანდელი დიალოგები ერთმნიშვნელოვნად თვითონ პლატონის ფილოსოფიურ მოსაზრებებს გადმოსცემს, ეს ცხადია. ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ფილოსოფოსობისადმი, განსაკუთრებული იმ აზრით, რომ მუდმივად იგრძნობა ტექსტში გადაჯაჭვა და, გარკვეული აზრით, დაპირისპირება, კონფლიქტი სხვადასხვა შეხედულებებს შორის, აქცევს პლატონის ტექსტს იმად, რადაც შეიძლება შეაფასა მეოცე საუკუნის ერთმა გამოჩენილმა მოაზროვნემ, როდესაც თქვა, რომ, პრინციპში, ყველაზე უეჭველი დახასიათება ევროპული აზროვნებისა არის ის, რომ ეს აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა შენიშვნები მიწერილი პლატონის ტექსტზე. აქ იგულისხმება ის კი არა, რომ ყველა მომდევნო მოაზროვნე პლატონს უბრალოდ იმეორებდა

და მისი გავლენის ქვეშ იყო (თუმცაღა ძალიან ბევრ შემთხვევაში ასეც ხდებოდა და ძალიან ბევრ პლატონიკოს თუ პლატონის ირიბი გავლენის მქონე ფილოსოფოსს ვიცნობთ ჩვენ), არამედ საქმეც ის არის, რომ პლატონის ტექსტში მოცემულია მთელი მრავალფეროვნება შესაძლებელი პოზიციებისა და ხშირად ისე ხდება ხოლმე, რომ ის ადამიანი, ვინც პლატონიზმს აკრიტიკებს, სინამდვილეში ტექსტში უკვე ჩაწერილია, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი, ვინც ეწინააღმდეგებოდა, მაგალითად, თავად პლატონისავე თუ სოკრატეს აზრებს. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დღესაც პლატონის ტექსტი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ვაზროვნებთ ჩვენ სამყაროს შესახებ, საზოგადოების შესახებ, ეთიკის შესახებ, ესთეთიკის შესახებ და ა.შ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი პლატონის კორპუსში არის ტექსტი „სახელმწიფო“, რომლის მეტაფიზიკურ ნაწილსაც ჩვენ დღეს განვიხილავთ. ”მეტაფიზიკურს” რომ ვახსენებთ, ეს მნიშვნელოვანია ძალიან, იმიტომ, რომ, პირველ რიგში, პლატონს აქვს ძალიან ბევრი სხვადასხვა სფეროს შესახებ დაწერილი - ისევ ვიმეორებ: ეთიკის შესახებ, პოლიტიკის შესახებ, ესთეტიკის შესახებ და ა.შ. მაგრამ გულისგული პლატონის მოძღვრებისა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც შემდეგ ეფუძნება მისი სხვა ყველა თეორია, არის მისი მეტაფიზიკა.

”მეტაფიზიკა” არის ძველბერძნული სიტყვა და ეტიმოლოგიურად ეს ნიშნავს იმას, რაც ფიზიკის მიღმაა. მეტაფიზიკას ფილოსოფიაში უწოდებენ მოძღვრებას, რომელიც მოგვითხრობს იმაზე, თუ რა არის ხილული გრძნობადი სამყაროს საფუძველში და რა განსაზღვრავს მას. პრინციპში, პლატონი არის ფილოსოფოსი, რომელიც ყველაზე მკვეთრად და ნათლად აყალიბებს მეტაფიზიკის პრინციპებს, რომელთაც შემდეგ ხშირად გაიმეორებენ როგორც ფილოსოფოსები, ისე თეოლოგები.

„სახელმწიფოში“ მეტაფიზიკის გადმოცემას ეთმობა მე-5-მე-6 თავები და სწორედ აი ამ კონკრეტული ტექსტის ირგვლივ ვიტრიალებთ ჩვენ პლატონის მეტაფიზიკის განხილვისას.

სანამ აქამდე მივალთ, მანამდე გავაგრძელოთ სოკრატეს მიერ პრობლემის დასმის ხაზი. მოგეხსენებათ (როგორც უკვე აღვნიშნეთ), რომ სოკრატე კითხვას უსვამდა თავის მოსაუბრეებს იმის შესახებ, თუ რა არის ესა თუ ის ფენომენი და მნიშვნელოვანწილად იმაზე გაღიზიანება იყო მიზეზი, რომ სოკრატე დაისაჯა; გაღიზიანება იმის თაობაზე, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ კარგად ჩამოყალიბებული პასუხები იმ სფეროს შესახებ, რომლებსაც სინამდვილეში ისინი კარგად უნდა იცნობდნენ: რა არის, მაგალითად, პოეზია, რა არის სამართლიანობა, რა არის სიქველე და ა.შ.

საქმე ის იყო, რომ სოკრატეს რაც უნდოდა ამ კითხვის შედეგად მიეღო, ეს იყო მყარი ცოდნა და სოკრატემ აღმოაჩინა, რომ ძალიან რთულია, ილაპარაკო სიმყარეზე, როდესაც საქმე გაქვს სამყაროსთან, რომელშიც მუდმივად რაღაცა იცვლება. აქ პლატონი აგრძელებს თავისი მასწავლებლის ხაზს და ამბობს, რომ ეს სამყარო იმდენად ცვალებადია, რომ შეუძლებელია მყარი, ნამდვილი უეჭველი ცოდნა მოიპოვო მის შესახებ - ყოველ შემთხვევაში,

თუ ლაპარაკია იმ სამყაროზე, რომელშიც ჩვენ ყოველდღიურად ვცხოვრობთ და ვმოძრაობთ. მაგალითად, ჩვენ რომ გვინდოდეს ადამიანზე ვთქვათ, რომ ის არის მშვენიერი - მუდმივად ვამბობთ, ხომ, ამას: ეს ადამიანი ძალიან ლამაზია. თუ კარგად დავაკვირდებით, გვეუბნება პლატონი, აღმოვაჩენთ, რომ სრულყოფილად ლამაზი ადამიანი არ არსებობს და ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია, პრედიკატი, ანუ სილამაზის თვისება, მივაწეროთ ადამიანს შეზღუდვების გარეშე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ადამიანზე, რომ ის ძალიან ლამაზია, მაგრამ ყოველთვის მოვნახავთ რაღაცა პერსპექტივას, რომლიდანაც ის ლამაზი არ გამოჩნდება. ანუ ჩვენი ცოდნა, რომელიც გამოთქმულია ჩვენს წინადადებებში, სინამდვილეში აღმოჩნდება არაზუსტი, დასაზუსტებელი, გადასასინჯი, კრიტიკისადმი დაქვემდებარებული და ა.შ. ამიტომაც საჭიროა ახალი მოდელი როგორც სამყაროსი, ისე ცოდნისა, რომელიც ჩვენ შეგვაძლებინებს, ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა არის სინამდვილე და ზუსტად შეგვეძლოს მისი აღწერა და სწორედ აქ ცდილობს პლატონი დაგვეხმაროს იმით, რომ გვთავაზობს სამ შედარებას, სამ სურათ-ხატს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ უნდა გავიგოთ, პირველ რიგში, როგორ არის სამყარო მოწყობილი და მეორე, როგორ ვიმეცნებთ ჩვენ ამ სამყაროს.